

ა ნ გ ა რ ი შ ი
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის
სამსახურის მიერ 2016 წლის განმავლობაში გაწეული
საქმიანობის შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას განახორციელებს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების, აგრეთვე სტრატეგიული სამუშაო გეგმიდან გამომდინარე შედგენილი 2016 წლის სამუშაო გეგმის მიხედვით. 2016 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ ჩატარებული იქნა 6 აუდიტორული შემოწმება, სადაც გამოვლინდა ზოგიერთი სახის დარღვევები და ნაკლოვანებები, რაზეც მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები კერძოდ:

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის 2016 წლის სამუშაო გეგმის საფუძველზე მოვახდინეთ ა(ა)იპ-„სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლი“- ს აუდიტორული შემოწმება. 2015 წლის დამტკიცებული და დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვით განესაზღვრა -326300 ლარის სუბსიდია. ამავე პერიოდში გაწეული ხარჯების საკასო შესრულებამ -326300 ლარი შეადგინა, ანუ გეგმა შესრულებულია 100%-ით.

ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები:

- სკოლის ხელმძღვანელობის მხრიდან მეტი კონტროლია გასაწევი სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე.

მიცემული რეკომენდაციები:

- განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდონ სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, არ დაუშვან არასაპატიოდ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევები.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის 2016 წლის სამუშაო გეგმის საფუძველზე, ა(ა)იპ-„ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში“ 2015 წლის წლის დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტით განესაზღვრა -1377000 ლარის სუბსიდია. ამავე პერიოდში გაწეულია - 1294072 ლარის საკასო ხარჯი, ანუ გეგმა შესრულებულია 93,98 პროცენტით.

ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები:

- სახელმწიფო შესყიდვების კუთხით - დროულად არ არის შედგენილი სახელმწიფო შესყიდვების კანონით გათვალისწინებული შესყიდვის მოსამზადებელი ეტაპის განხორციელების დოკუმენტური დასაბუთება, როგორცაა: მომდევნო წლის შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავება; მიწოდების ბაზრის მოკვლევის განხორციელება.

- გაერთიანებაში პრემია გაცემულია თანამდებობრივი სარგოს 100%-ს ოდენობით იმ მუშაკებზეც, რომელთაც ნამუშევარი აქვთ ბოლო 2-3 თვე და არა სრული წელი.

- რიგ შემთხვევაში ნაკლები ყურადღება ეთმობა საბავშვო ბაღების შესაბამისი თანამშრომლების მიერ საკვები პროდუქტების მიღება-ხარჯვის და ნაშთის გამოყვანის ბრუნვითი უწყისის შედგენას, რაშიც ხშირია უზუსტობები.

- გაერთიანებაში ცალკეულ საბავშვო ბაღებს დამტკიცებული მენიუს მიხედვით ერთ აღსაზრდელზე მომზადებული ერთი და იგივე დღის კერძები განფასებული აქვთ განსხვავებული თანხებით მაშინ, როცა გაერთიანებას საკვები პროდუქტები შეძენილი აქვს ერთსა და იმავე ფასად.

მიცემული რეკომენდაციები:

გაერთიანების ხელმძღვანელობამ:

- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას გაითვალისწინოს საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011წლის 10 თებერვლის №2 და 07 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნები.

- რეკომენდირებულია გაერთიანებამ, წახალისების ღონისძიების გამოყენებისას სათანადოდ გამოიკვლიოს და შეაფასოს თითოეული მუშაკის დამსახურება, რათა წახალისება არ ატარებდეს ფორმალურ ხასიათს, ასევე პრემიების გააცემა მოხდეს ნამუშევარი დროის შესაბამისად.

- რეკომენდირებულია გაერთიანებაში შემუშავდეს და დაინერგოს საბავშვო ბაღებში წარმოქმნილი ყოველდღიური პროდუქტის ნაშთების შემოწმების ერთიანი პროცედურა, რომლითაც დარეგულირდება ნაშთების შესახებ მონაცემების ურთიერთშედარება, აღრიცხვისა და მოძრაობის წესები, ცალკეულ პასუხისმგებელ პირთა უფლება-მოვალეობები და სხვა აუცილებელი საკითხები.

- მიზანშეწონილია გაერთიანებაში შეიქმნას კომისია, რომელიც განახორციელებს მონიტორინგს და კონტროლს გაუწევს საბავშვო ბაღებში მიმდინარე კვების, სანიტარულ-ჰიგიენურ და მეთოდოლოგიურ პროცესებს.

3. ხელვაჩურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის 2016 წლის სამუშაო გეგმის საფუძველზე ა(ა)იპ „ხელვაჩურის გამწვანებისა და დასუფთავების სამსახურში“ ჩატარებული იქნა აუდიტორული შემოწმება, სადაც კვლავ მეორდება წინა შემოწმების დროს გამოვლენილი ხარვეზები.

ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები:

- მატერიალურ-ფასეულობათა შესყიდვისას მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არასრულყოფილია. არ არის განსაზღვრული საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადა.
- უმრავლეს შემთხვევაში ხელშეკრულებებს არ ახლავს დანართები - ფორმა №3 (ინფორმაცია საქონლის დასახელების, რაოდენობის და ფასების შესახებ).

მიცემული რეკომენდაციები:

ა(ა)იპ „ხელვაჩურის გამწვანებისა და დასუფთავების სამსახურმა:

- მეტი ყურადღება მიაქციოს მატერიალურ-ფასეულობათა შესასყიდად ხელშეკრულების გაფორმებას და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას.
- ცდომილებების გამორიცხვის მიზნით, ხარჯთაღრიცხვის პარამეტრები რეალური გაანგარიშების საფუძველზე იქნას ნაწარმოები.
- მეტი ყურადღება დაუთმონ სამოქმედო ტერიტორიაზე ნარჩენების გატანის მომსახურებას და ამ მომსახურებიდან მოსაკრებელის (საფასურის) ამოღებას.

4. ხელვაჩურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის 2016 წლის სამუშაო გეგმის საფუძველზე ა(ა)იპ-„ხელვაჩურის სასპორტო სკოლა“-ს 2015 წლის დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტით განესაზღვრა -196604 ლარის სუბსიდია. ამავე პერიოდში სასპორტო სკოლაში გაწეულია -181911,22 ლარის საკასო ხარჯი, ანუ გეგმა შესრულებულია 92,%-ით და გეგმის შესრულებას დააკლდა - 14692,78 ლარი.

ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები:

- ზოგიერთ შემთხვევაში მატერიალურ-ფასეულობათა შესასყიდად გაფორმებული ხელშეკრულებები არასრულყოფილია. არ არის განსაზღვრული საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადა, ასევე არ არის განსაზღვრული საჯარიმოო სანქციების ოდენობა ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში.

- რიგ შემთხვევაში არ არის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები და არ აქვს დანართები - ფორმა №3 (ინფორმაცია საქონლის დასახელების, რაოდენობის და ფასების შესახებ).

მიცემული რეკომენდაციები:

- მეტი ყურადღება მიაქციოს, მატერიალურ-ფასეულობათა შესასყიდად ხელშეკრულების გაფორმებას და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. მკაცრად დაიცვან სახელშეკრულებო მოთხოვნები.

- მატერიალურ-ფასეულობათა შესყიდვისას თავისდროულად იქნას გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები უფლებამოსილი პირების მიერ, რაც დაადასტურებს საქონლის სრულად მიღებას და სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის ერთად გახდება საფუძველი ანგარიშსწორების განხორციელებისა.

5. ხელვაჩურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის 2016 წლის სამუშაო გეგმის საფუძველზე შპს-საფეხბურთო კლუბ „მაჭახელას“ მიერ 2015 წლის ხარჯთაღრიცხვის შესრულების შესახებ ჩატარებული აუდიტით გაირკვა, რომ შპს-საფეხბურთო კლუბ „მაჭახელას“ 2015 წლის დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტით განესაზღვრა -430000 ლარის სუბსიდია, ამავე პერიოდში გაწეულია - 420809 ლარის საკასო ხარჯი, ანუ გეგმა შესრულებულია 98%-ით და გეგმის შესრულებას დააკლდა -9191 ლარი.

ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები:

- კლუბის მიერ 2015 საანგარიშო წლის განმავლობაში შეძენილა -3643,68 ლარის სხვადასხვა სახის მედიკამენტები, რომელთა მოძრაობასთან დაკავშირებით არ მოიპოვება არანაირი დოკუმენტაცია. კლუბში არ არის შემუშავებული და დამკვიდრებული მედიკამენტების მიღების, ხარჯვის აღრიცხვის, მონიტორინგის და კონტროლის ერთიანი წესები.

- მიმწოდებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებში არ არის გამიჯნული და გამოკვეთილი ჩანაწერი ხელშეკრულების პირობის შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოსაყენებელი საჯარიმო სანქციები.
- კლუბის ადმინისტრაციის თანამშრომელთა მივლინების არცერთ შემთხვევაში დოკუმენტურად არ დასტურდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თუ სხვა შესაბამისი ორგანიზაციების მხრიდან მივლინებისათვის საჭირო მოწვევა, შეტყობინება, რაც დაადასტურებდა მივლინების აუცილებლობას და მიზანს.
- გასვლითი თამაშების დროს გუნდის მივლინებაში გამგზავრებისას ბრძანებებში არ არის განსაზღვრული ფეხბურთელთა და სხვა შემადგენლობის სახელობითი სია, რაც უნდა ემთხვეოდეს სამივლინებო ბარათში აღწერილ შემადგენლობას.
- კლუბს შ.პ.ს. „ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკა“-სთან 2015 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული აქვს №39 ხელშეკრულება ფეხბურთელებისათვის ჯანდაცვის სფეროში 500 ლარის ღირებულების სხვადასხვა მომსახურების გაწევაზე. აღნიშნულ ხელშეკრულებას არ ახლავს დანართი (ინფორმაცია გასაწევი მომსახურების სახე, ერთეულის ფასი, ფეხბურთელთა რაოდენობა) და არც მიღება-ჩაბარების აქტში არ არის იდენტიფიცირებული გაწეული მომსახურების შესახებ დრო, ადგილი, მონაწილეთა რაოდენობა. დოკუმენტაციაში, ასევე არ მოიპოვება ტაბელი ფეხბურთელთა მიერ დადასტურებული ხელმოწერებით, გაწეული მომსახურების მიღებაზე. აღნიშნულ პირობებში კლუბის მიერ გადახდილია 320 ლარი.

მიცემული რეკომენდაციები:

- კლუბის მედიკამენტებით მომარაგების კუთხით შემუშავდეს და დამკვიდრდეს ერთიანი წესები და პროცედურები, რომლებითაც განსაზღვრული იქნება მედიკამენტების შეკვეთის, მიღების და ხარჯვის აღრიცხვის, მონიტორინგისა და კონტროლის ერთიანი რეგულაციები. ასევე დაცული უნდა იქნას მედიკამენტების მოძრაობასთან დაკავშირებით პირველადი დოკუმენტაციის შექმნისას საქმისწარმოების ზოგადი მოთხოვნები. დოკუმენტის ერთიანი ფორმა, ხელმოწერების და სხვა რეკვიზიტების აუცილებლობა, აღრიცხვა და რეგისტრაცია. აუცილებელია სათანადო პერიოდულობით განხორციელდეს მედიკამენტების ინვენტარიზაცია.
- კლუბმა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მიმწოდებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გამიჯნოს, მკაფიოდ გამოყოს და შესაბამისი პროცენტული ოდენობით მიუსადაგოს გამოსაყენებელი საჯარიმო სანქციები, როგორც ხელშეკრულების პირობის შეუსრულებლობის, ასევე დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში.

- რეკომენდირებულია კლუბის თანამშრომელთა სამსახურეობრივი მივლინების შემთხვევებში სამივლინებო დოკუმენტაციის სრულყოფის მიზნით, კლუბის ხელმძღვანელობის მიერ მოთხოვნილი იქნას მომწვევ მხარეზე, რომ უზრუნველყონ მოწვევის, შეტყობინების თუ სხვა შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა, რაც საფუძველს გახდის მივლინებში გამგზავრების აუცილებლობას.

- სხვადასხვა მომსახურების შესყიდვისას მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებზე დანართის სახით თანდართული უნდა იყოს ინფორმაცია, რომელიც სრულად ასახვას გასაწევი მომსახურების შინაარსს, ერთეულის ფასს საერთო ღირებულებას და სხვა, რაც შემდგომ დადასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით.

6. ხელვაჩურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის 2016 წლის სამუშაო გეგმის საფუძველზე, მოვახდინეთ სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ თემატური აუდიტი, სადაც ირკვევა, რომ მათ მიერ 2015 წელს შესრულებული საქმიანობის მიმდინარეობისას დარღვევები და ნაკლოვანებები არ გამოვლენილა.